



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

1 აპრილი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №88

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს გადაეცეს, გურიის რეგიონალური სამმართველოს ოფისის მშენებლობისათვის, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთის ვ.დოლიძის ქუჩა №10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 500კვ.მ. მიწის ნაკვეთი, (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №46, ნაკვეთი №067, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882013133481, მომზადების თარიღი 28.03.2013წ.).

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი